14th International Silk Road Conference on Globalization: Trends and Perspectives

აბრეშუმის გზის მე-14 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „გლობალიზაცია: ტენდენციები და პერსპექტივები“

SILK ROAD 2019

Conference Proceedings

October 11-12, 2019

Tbilisi, Georgia

Editor
Assoc. Prof. Dr. Mustafa Arslan

Editor's Assistant
Givi Amaglobeli, Ph.D.c.

Publisher
International Black Sea University, LLC

Designer
Giorgi Tsamalashvili

Printed by
Print P

International Black Sea University, LLC

e-proceedings are available at www.silkroad.ibsu.edu.ge
Contact: silkroad@ibsu.edu.ge

ISBN: ISBN 978-9941-8-2211-7

ORGANIZERS

International Black Sea University

Constantine the Philosopher University in Nitra

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Caucasus University

Vistula University

Georgian Institute of Public Affairs

SILK ROAD-2019

Organizing Committee

Prof. Dr. Ilias Chiloglu, Rector, International Black Sea University, Georgia

Prof. Dr. Wojciech Huebner, Vistula University, Poland

Prof. Dr. Roman Kralik, University of Constantine Philosopher in Nitra, Slovakia

Assoc.Prof. Dr. Milan Fiľa, University of Constantine Philosopher in Nitra, Slovakia

Assoc. Prof. Dr. M. Murat Erguvan, International Black Sea University, Georgia

Assoc. Prof. Dr. Mustafa Arslan, International Black Sea University, Georgia

Dr. Natia Chigvaria, Georgian Institute of Public Affairs, Georgia

Dr. Mariam Jinchelishvili - Caucasus University, Georgia

Givi Amaglobeli, Ph.D.c., International Black Sea University, Georgia

Scientific Board

Prof. Dr. Ilyas Ciloglu, International Black Sea University, Georgia

Prof. Dr. Tea Kbiltsetskhlashvili, International Black Sea University, Georgia

Assoc.Prof. Dr. Marta Urbanikova, Uni. of Constantine Philosopher in Nitra, Slovakia

Assoc.Prof. Dr. Milan Fiľa, University of Constantine Philosopher in Nitra, Slovakia

Dr. Martina Pavlikova, University of Constantine Philosopher in Nitra, Slovakia

Prof. Dr. Ilyas Ustunyer, International Black Sea University, Georgia

Assoc. Prof. Dr. Vakhtang Zaalishvili, Black Sea University, Georgia

Assoc. Prof. Dr. Metin Mercan, International Black Sea University, Georgia

Assoc. Prof. Dr. Kakhaber Djakeli, International Black Sea University, Georgia

Assoc. Prof. Dr. Azer Dilanchiev, International Black Sea Uni., Georgia

Assoc. Prof. Dr. Besik Dundua, International Black Sea University, Georgia

Assoc. Prof. Dr. Giorgi Shaduri, International Black Sea University, Georgia

Assoc. Prof. Dr. Nana Macharashvilli, Georgian Institute of Public Affairs, Georgia

The SR-2019 organizing committee will not be held responsible for the originality of the papers nor the accuracy of the information provided therein.

Contents

ENGLISH 7

Use of Artificial Neural Networks in Risk Management 8

Maritime Cooperation under MSR Initiative and its Implications on Iran' role in Maritime Convergence 14

Economic Basis of the Competition. The Role of Competition in the Formation of the Food Market, Special Features And Scientific Basis 19

Lack of Food in Global World And Ways of its Solution 24

The State Investment in The Industry and Innovation Policy 28

Globalization and Development of Shared Service Centers in V4 Countries 32

High Performance Work Systems and Shared Leadership as Success Factors for Startup Development 37

Business environment of family businesses in Slovakia 46

Importance of Beekeeping and its Current State in Slovakia 51

Formal Education Vs Life-Long Learning: Challenges for Alma Mater 56

Comparison of Development of Selected Macroeconomic Indicators and Tourism in the Slovak Republic 63

China's New Approach toward the Middle East: Eying to Become a Great Powerbroker 68

Kafka's The Metamorphosis as an „Identified Stereophonic Composition": A Few Notes on the Radio Drama by Josef Henke (in the Context of Some Film and Television Variations) 72

University's Smart Information Kiosk 82

E-Governance Information Systems for Controlling of State-Owned Property 88

Visible and Invisible Problems in Georgian Entrepreneurship 91

Bilateral Trade Intensity Between Azerbaijan and Poland in an Aspect of Competitiveness 96

Evaluation of Effectiveness of Public Expenditures in Psychiatric Healthcare Treatments in Georgia 111

Linguistic Imperialism: The Policy of Bestowing Imperial Dignities/Ranks upon Georgian Kings and Noblemen (Case Study - Transcaucasian Georgia) 119

Human Resources Aspects of Project Management (Analysis of the Project Team) 122

International Migration – One of the Most Important Global Problems 127

Strengthning the Role of Aviation for Silk Road Connectivity: Challenges and Opportunities 130

Possibility of Global Segmentation through Social Media Marketing 134

ქართული 140

იდეოლოგიური მიდგომები ადამიანის უფლებათა და საზოგადოებრივი მორალის მიმართ სოციოცენტრულ კულტურაში 141

საჯარო ფინანსების მართვისა და კონტროლის თავისებურებები საქართველოში 149

ბრძოლა დისკრიმინაციის წინააღმდეგ, სახალხო დამცველის მანდატის ფარგლებში 157

,,გაუპატიურების შემადგენლობის'' ქართული მოდელის ცვლილებისთვის 166

აინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი ასპექტები 174

მულტიმედია მონაცემები მონაცემთა ბაზებში 188

ტერორიზმი–საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები და გამოწვევები 195

სწავლება. გასვლები საზღვარგარეთ. კარიერა(საგანმანთლებლო ტურიზმი) 205

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) უსაფრთხოების სტანდარტები და მათი იმპლემენტაციის საჭიროება ქართულ კანონმდებლობაში 208

ქართული

იდეოლოგიური მიდგომები ადამიანის უფლებათა და საზოგადოებრივი მორალის მიმართ სოციოცენტრულ კულტურაში

Giorgi Kipiani
Ivane Javakhishvili State University, Georgia

აბსტრაქტი

ნაშრომში კულტურის ფსიქოლოგიისა და ანთროპოლოგიის თვალსაზრისით განხილულია ადამიანის უფლებათა და საზოგადოებრივი მორალის მიმართ იდეოლოგიური მიდგომები თანამედროვე ქართულ დისკურსში. ანალიზი ეყრდნობა კულტურის ფსიქოლოგიაში ჩამოყალიბებულ დატვირთული აღწერილობის მქონე, „სქელი", სოციოცენტრული კულტურებისა და დაუტვირთავი, „თხელი", ინდივიდუალისტური კულტურების შესაბამისი მორალური მატრიცების დიფერენციაციის პრინციპს, რომელიც ადამიანის უფლებებს განსხვავებულ ღირებულებებს ანიჭებს. კვლევა აჩვენებს, რომ ქართული საზოგადოება უპირატესად როგორც სოციოცენტრული კულტურა ხასიათდება, რაც საზოგადოებრივი მორალის განსაკუთრებულ მნიშვნელობას უნდა გულისხმობდეს კანონმდებლობასა და მედიაში. სტატიაში განხილულია საზოგადოებრივ დისკურსში ძირითადი იდეოლოგიური მიმართულებები და ნაჩვენებია, რომ დომინანტური ნეოლიბერალური დისკურსი ახდენს საზოგადოებრივი მორალის უგულებელყოფას როგორც მედიაში, ასევე საკანონმდებლო დოკუმენტებში. ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ კანონმდებლობაში პრიორიტეტი ენიჭება ინდივიდუალისტურ და უნივერსალისტურ პრინციპებს, საზოგადოებრივი მორალი, როგორც ლეგიტიმური მიზანი ამ დისკურსში აღიქმება როგორც მედიის თავისუფლების საფრთხე, შედეგად მოსახლეობის კულტურული მახასიათებლების იგნორირება სარისკო შეიძლება აღმოჩნდეს საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებები, კულტურის ფსიქოლოგია, საზოგადოებრივი მორალი, სოციოცენტრული კულტურა

Ideological Approaches to Human rights and Public Morality in Sociocentric Culture

Abstract

Article discusses ideological approaches to human rights and public morality from the point of cultural psychology and anthropology in modern Georgian discourse. Analysis is based on the cultural psychology's differentiation of thin description, individualistic and thick description, sociocentric cultures and relevant moral matrices, which differently evaluates human rights importance. Previous research characterizes Georgian culture as predominantly sociocentric, therefore public morality should have high importance in legislation and media discourse. Article analyses main ideological directions in public discourse and concludes that dominant ideology of neoliberal discourse neglects public morality in legislation and media. Analysis shows that in legal framework priority is given to individualistic and universalistic principles, public morality as legitimate aim is seen as a threat to media freedom and therefore neglect of cultural characteristics of population may be risky for effective functioning of society.

Keywords: Human rights, culture psychology, public morality, sociocentric culture

სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, საქართველოში მოსახლეობა ეროვნული ღირებულებების უგულებელყოფის გამო უარყოფით შეფასებებს აძლევს მედიას (ბოგიშვილი და სხვები, 2014). კერძოდ, 31 წლის შემდეგ ყველა ასაკობრივ ჯგუფში მედიიდან მომავალ ინფორმაციას ეროვნული ღირებულებების საწინააღმდეგოდ მიიჩნევენ და მედია ნაციონალური იდენტობის დაკარგვის საფრთხესთან ასოცირდება. რესპონდენტების აზრით, მედია ამასთან ერთად ხელს უწყობს საზოგადოების გახლეჩას.

როგორც ვხედავთ, კვლევა მიუთითებს, რომ საქართველოში მედია გარკვეულ დაპირისპირებაშია მოსახლეობის მოლოდინებთან. რა განაპირობებს მედიის ასეთ აღქმას, რა იდეოლოგიური მიდგომები

დომინირებს მედიაში და რა ღირებულებებია პრიორიტეტული მოსახლეობისთვის მისი სოციოკულტურული მახასიათებლებისაგან გამომდინარე?

საზოგადოებრივი თანაცხოვრების კულტურული მახასიათებლების აღსაწერად სხვადასხვა მიდგომა ჩამოყალიბდა, რომლებიც საზოგადოებრივი მორალისა და ღირებულებათა სხვადასხვა სისტემაზე აკეთებს აქცენტს სოციოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე. რიჩარდ შვედერი აყალიბებს თეორიას, რომლის მიხედვით ადამიანებს აქვთ კონცეფტუალურად დაკავშირებული საკითხების სამი მორალური კლასტერი: პირველ, ავტონომიურობის ეთიკაში ხაზგასმულია, რომ ინდივიდები ძლიერ დამოუკიდებლები არიან (Schweder R., et al., 1997). მეორე, თემის, ჯგუფურ ეთიკაში ხაზგასმულია, რომ ადამიანები არიან ისეთი დიდი ერთობების წევრები, როგორიცაა კლანები, ეთნიკური ჯგუფები, რელიგიები და ერები, რომლებსაც აქვთ თავისი იდენტობა, პოზიცია, ისტორია და რეპუტაცია. მესამე, ღვთაებრივობის ეთიკაში რ.შვედერისა და სხვათა (1997) მიხედვით, ხაზგასმულია ღვთაებრივისა და ადამიანების დამოკიდებულება, აქ ინდივიდები წარმოადგენენ სულიერ მთლიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია წმინდა წესრიგთან და უნდა იქცეოდნენ ისე, რომ პასუხისმგებლობით დაიცვან მემკვიდრეობა, რომელიც ამაღლებულია და ღვთიურია. ეს ეთიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს შუა აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიაში, ასევე დასავლეთის რელიგიურ საზოგადოებებში და მისთვის უმნიშვნელოვანესია ისეთი ზნეობრივი ცნებები, როგორიცაა სიწმინდე და ამაღლება; მისი მიზანია დაიცვას სული, ადამიანის საქმიანობის სულიერი ასპექტები და ბუნება (Schweder R., et al, 1997).

კულტურის ფსიქოლოგიაში ასევე ცნობილია დაყოფა ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ, სოციოცენტრულ საზოგადოებად დაყოფა, რომელიც მთელ ქვეყნებზეც განივრცობა: ერთი ფოკუსირებულია მაქსიმალურ პიროვნულ თავისუფლებაზე, მეორე კი ურთიერთობებისა და ინსტიტუციების მარგი ქმედების მაქსიმიზაციაზე. პირველი კონცენტრირებულია ინდივიდზე და მის დამოუკიდებლობაზე, მეორე კონცენტრირებულია მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობაზე, თითოეული პიროვნების ურთიერთდამოკიდებულებაზე ხაზგასმით იმ ჯგუფებში, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან. ინდივიდუალისტურ და კოლექტივისტურ, საზოგადოებებში ზნეობრივი ღირებულებების განსხვავებულ პრიორიტეტებს მიუთითებენ: ინდივიდუალისტური საზოგადოებები მაღალ შეფასებას აძლევენ არჩევანს და თანასწორობას, ისინი ხაზს უსვამენ ისეთ ზნეობრივ ღირებულებებს, როგორიცაა უფლებები, თავისუფლება და სამართლიანობა. სოციოცენტრული საზოგადოებები მაღალ ღირებულებას ანიჭებენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა ვალდებულება, პატივისცემა, რეპუტაცია, პატრიოტიზმი, სიწმინდე, იერარქია და ტრადიცია (Markus, H., Kitayama, Sh, 1991).

ინდივიდუალისტურ კულტურებში სოციალურ ინსტიტუციებს მცირე როლი აქვთ, სოციოცენტრულ კულტურებში კი მნიშვნელოვანი როლი. შესაბამისად განასხვავებენ დაუტვირთავ, „წვრილ“ და დატვირთულ, „სქელ“ საზოგადოებებს. ამ ორ წესრიგში ადამიანის უფლებებისადმი სხვადასხვა კონცეფცია ყალიბდება, კერძოდ, ინდივიდუალისტურ საზოგადოებებში ადამიანის უფლებათა ჩარჩო ინდივიდუალური არჩევნის ფართო დაცვას ახდენს და სახელმწიფოს დიდ როლს აკისრებს წესების რეგულირებაში; კულტურული სხვაობები, ტრადიციები და სოციალური ინსტიტუციები თუ კონფლიქტშია ადამიანის უფლებებთან, მეორე ხარისხოვანი ხდება (Kaplan S. 2018). სოციოცენტრული, დატვირთული, „სქელი“კულტურები უფრო ფართო მორალური მატრიცებით ხასიათდებიან, რომლებიც წარმოადგენს სამი ეთიკის, ავტონომიური ეთიკის, თემის ეთიკისა და ღვთაებრიობის ეთიკის უფრო დაბალანსებულ გაერთიანებას. დასავლური ინდივიდუალისტური „თხელი“ კულტურები ვიწრო მორალურ მატრიცებს იყენებენ, რომლებიც უფრო ძლიერ ხაზს უსვამს ავტონომიურობის ეთიკას შვედერის მიხედვით.

კვლევებმა აჩვენა, რომ კოლექტივისტური, კომუნიტარული კულტურის მქონე ქვეყნების მაღალი კონკურენტუნარიანობა განპირობებულია ეროვნული იდეოლოგიისადმი ინსტიტუციონალური პრაქტიკის შესაბამისობით (Lodge G. Fogel E., 1987). აზიის კომუნიტარულ ქვეყნებში აქტიური, დაგეგმვაზე ორიენტირებული და ძლიერი სახელმწიფოს კონცეფცია განაპირობებს მაღალ ეფექტურობას (დაწვრილებით იხილე გ. ყიფიანი, 2002, გვ.6-12). ამდენად მნიშვნელოვანია სახელისუფლო იდეოლოგია თანხვედრაში იყოს ეროვნულ იდეოლოგიასთან, მოსახლეობის სოციოკულტურულ მახასიათებლებთან.

კულტურათაშორისი შედარებითი სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევა აჩვენებს, რომ საქართველო უნდა მიეკუთვნოს სოციოცენტრულ, კოლექტივისტურ კულტურას კონსერვატიზმისა და იერარქიულობის მაღალი მაჩვენებლების გამო (Schwartz Sh. 1997). ქართველები ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევიან ოჯახური კოლექტივიზმის თვალსაზრისით სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველო მეორე ადგილზეა 60 ქვეყნის შედარებით გამოკითხვაში ამ განზომილების მიხედვით (ყიფიანი, 2002). საქართველო ასევე განიხილება როგორც კოლექტივისტური ტიპის კულტურა, რომელშიც ოჯახური

ცხოვრება წარიმართება ძლიერი რწმენის საფუძველზე ახლო ნათესაურ ურთიერთობების მნიშვნელობის შესახებ და ნუკლეარულ ოჯახთან გახანგრძლივებულ ახლო კავშირზე ზრდასრულობის პერიოდშიც (სურმანიძე, 2002). უფრო გვიანდელი სოციოლოგიური გამოკითხვებიც ადასტურებს, რომ საქართველო ტრადიციული კოლექტივისტური ქვეყნების ჯგუფშია (Tausch A. 2015).

საქართველოში ასევე საკმაოდ ძლიერია რელიგიური განწყობები. ბოლოდროინდელი კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში გამოკითხულთა 99% სწამს ღმერთის არსებობა რაც ევროპაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და მხოლოდ ერთი პროცენტი მიუთითებს, რომ ღმერთის არ სწამს. ქართველებისთვის რელიგია ეროვნული იდენტობის მთავარ კომპონენტად აღიქმება, 81%-თვის ქრისტიანობასთან გაიგივებულია (Pew Research Center, 2017).

რაც შეეხება ხელისუფლებასა და მედიაში დომინირებულ იდეოლოგიას, ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში ნეოლიბერალური პრინციპებით წარიმართებოდა, მედიაში ეროვნული ხასიათის, ტრადიციების კრიტიკა, რაც მოიცავდა ეროვნული ხასიათის მიმართ სკეპტიციზმს, „მისი ფურთხის ღირსად ჩათვლის პათოსს", ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისადმი, ტრადიციისადმი პიეტეტის უარყოფას (ნოდია გ. 2001, გვ.126) არსებითად მემარცხენე რადიკალური იდეოლოგიით იყო განსაზღვრული (ყიფიანი, 2002, გვ, 79, 84). საქართველო 2003-2012 წლებში შეფასებული იყო, როგორც რადიკალური ნეოლიბერალური ექსპერიმენტების სივრცე, როგორც ქართველი ავტორების (Berekashvili B. 2013), ისე უცხოელი მკვლევარების მიერ (Leonardis F., 2016, Appel H, 2018), ხელისუფლების ნეოლიბერალური ორიენტაცია შემდგომ წლებშიც გაგრძელდა (Gabitsinashvili M,2019, Gugushvili D. 2017), Wade R., 2016).

როგორც ვნახეთ, სოციოცენტრული კულტურებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რა როლი და დატვირთვა ენიჭება საზოგადოებრივ მორალს მოსახლეობის ცხოვრებაში. უმთავრესი დოკუმენტი, რომელიც ქმნის საერთო საფუძველს კანონებისა და წესებისთვის, გამოკვეთს კოლექტიურ ღირებულებებსა და პრინციპებს, გამოხატავს ქვეყნის ამბიციებს მომავლისათვის და არის ქვეყნის მოქალაქეთა გამაერთიანებელი ფაქტორი, არის ქვეყნის კონსტიტუცია (Aucoin, 2010);. კონსტიტუცია არის მაფორმირებელი დოკუმენტი, რომელიც თამაშობს საკვანძო როლს ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში (Breslin, 2009). ამდენად ჩვენთვის საინტერესოა, გავერკვეთ რა ადგილს ანიჭებს საზოგადოებრივ მორალს საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა სამართლებრივ სივრცესა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ამდენად, ჩვენთვის საყურადღებოა, უფრო დეტალურად გამოვიკვლიოთ, თუ რა იდეოლოგია დომინირებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთვის ფუძემდებლურ დოკუმენტებში - კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში, რომლებიც საზოგადოების მორალურ სტანდარტებს არეგულირებს.

საზოგადოებრივი მორალის დაცვის სტანდარტს ასევე საერთაშორისო შეთანხმებები ადგენს, რომლებიც იმ ვარაუდით არის შედგენილი, რათა მაქსიმალურად გაითვალისწინოს, როგორც ინდივიდუალისტური, ასევე სოციოცენტრული საზოგადოებების ღირებულებანი. ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენცია შემდეგ მუხლებში განიხილავს საზოგადოებრივ ზნეობას, როგორც ლეგიტიმურ მიზანს: - 12.3, 14.1, 18.3, 19.3, 22. 2; (საერთაშორისო პაქტი, 1994). ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციით მორალის დაცვას უპირატესობა ენიჭება ისეთ უფლებებთან შედარებით, როგორიცაა სამართლიანი სასამართლოს, პირადი და ოჯახური ცხოვრების, აზრის თავისუფლების, ცნობიერებისა და რელიგიის, გამოხატვის თავისუფლება და შეკრების თავისუფლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950). საერთაშორისო შეთანხმებათა ეს დებულებანი, როგორც წესი, გადატანილია მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციებში, რადგან სამართლებრივი სისტემის საფუძველს ქვეყნის კონსტიტუცია წარმოადგენს.

საქართველოს მეზობელი ქვეყნების კონსტიტუციები საზოგადოებრივი მორალისთვის მაღალი მნიშვნელობის მინიჭების მხრივ საკმაოდ გამოირჩევა, როგორც ჩანს, ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია კოლექტივისტური ქვეყნებისთვის, კერძოდ, სომხეთის კონსტიტუციაში 12-ჯერაა ნახსენები სიტყვა "მორალი", როგორც პრიორიტეტული ლეგიტიმური მიზანი (Armenia's Constitution, 1995); თურქეთის კონსტიტუციაში 14-ჯერ (Turkey's Constitution, 2017), აზერბაიჯანის კონსტიტუციაში3-ჯერ (Azerbaijan's Constitution, 1995). საზოგადოებრივი მორალის მნიშვნელობა ევროპის სხვა ქვეყნებშიც აღნიშნულია, კერძოდ, იტალიის კონსტიტუცია 5-ჯერ აღნიშნავს მორალის მნიშვლელობას (Italy's Constitution, 2012.). ევროპის ქვეყნების უმეტესობის, კერძოდ, საბერძნეთის, ჰოლანდიის, დანიის, ლატვიის, გერმანიის, ლუქსემბურგის, ბელგიის, ჩეხეთის, ბულგარეთისა და პორტუგალიის კონსტიტუციები

შეიცავენ ჩანაწერებს საზოგადოებრივი ზნეობის, როგორც ლეგიტიმური მიზნის შესახებ (მასალები მოპოვებულია საიტზე www.constituteproject.org).

ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში და ჟურნალისტები ხშირად ქართული მედიის კანონმდებლობის გამოხატვის თავისუფლების „ამერიკულ" სტანდარტთან მიახლოვებით ამაყობენ, რადგან ევროპული მიდგომა უფრო შემზღუდველად მიაჩნიათ (Proposed Georgian Defamation, 2019). ამ დროს ევროპელი მკვლევარები ამერიკულ მიდგომას უფრო მკაცრადაც კი მიიჩნევენ ამერიკული პურიტანიზმის გამო (Mendel, 2011, გვ. 30). ამიტომ გავეცნოთ უფრო დეტალურად, თუ რას გულისხმობს საზოგადოებრივი ზნეობის დაცვის ამერიკული სტანდარტები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ის მუხლები, რომლებიც საზოგადოებრივ მორალს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად მიიჩნევს. აშშ კონსტიტუციის პირველი შესწორება და აშშ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი აზუსტებს იმ პირობებს, რომლის გამოც შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება. აშშ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად უხამსი მასალა ან გამოხატვა არაა დაცული აშშ კონსტიტუციის პირველი შესწორებით. აშშ უზენაეს სასამართლოს გადაწყვეტილებაში FCC v. Pacifica Found. განმარტებულია, რომ მაუწყებლობას ყველაზე ნაკლები დაცვა უნდა ჰქონდეს კონსტუტუციის პირველი შესწორების შესაბამისად (Holohan, 2005, გვ. 342), რაც შესაძლებლობას აძლევს აშშ ხელისუფლებას გამოიყენოს მაუწყებლობაში სარედაქციო კონტროლისა და შინაარსობრივი რეგულირების სხვადასხვა ფორმები, რომლებიც ბეჭდურ მედიაში აკრძალულია. ასევე აშშ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საქმეზე Red Lion Broadcasting Co. v. FCC მიხედვით, მაუწყებლობის შემთხვევაში უმთავრესია მაყურებელთა და მსმენელთა და არა მაუწყებლების ინტერესები (Holoban 2005:, გვ. 342). სატელევიზიო მედიაში ზნეობრივ სტანდარტის დაცვას განაპირობებს ასევე კონგრესის მიერ მიღებული შეურაცხმყოფელი, უცენზურო მასალის დღის საათებში 6-დან 22 საათამდე შეზღუდვის პრინციპი (Holohan, 2005:, გვ.342). დარღვევის შემთხვევაში კომუნიკაციების ფედერალურ კომისიას შეუძლია გააფრთხილოს, დააჯარიმოს ან ლიცენზია შეუჩეროს მაუწყებელს. საშუალო მაყურებლის ან მსმენელის აზრით უცენზურო (indecent) ტექსტურ და ვიდეომასალაში (Steiner, 2015). როგორც ვხედავთ ამერიკული სტანდარტი საზოგადოებრივ თვალსაზრისს, პრაქტიკულად საზოგადოებრივი მორალის სტანდარტს ეყრდნობა.

2006 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯარიმები სატელევიზიო მედიაში ზნეობრივი სტანდარტების დარღვევისთვის 10-ჯერ გაიზარდა 32 ათასი დოლარიდან 300 ათას დოლარამდე. ცვლილება განმარტებული იყო, როგორც ამერიკულ ოჯახებზე ზრუნვა, რათა ბავშვები დაცული ყოფილიყვნენ პოტენციურად დამაზიანებელი და უზნეო შინაარსისგან (Press Release, 2005). მაუწყებელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დანერგა პირდაპირი ტრანსლიაციის დროს მაუწყებლობის გადავადება 5 წამიდან 5 წუთამდე, რომლის დროსაც უზნეობის შემცველი მასალის ამოღება მოხდებოდა (Leon-Guerrero 2015:299).

აშშ ფილმებისა და სატელევიზიო გადაცემების ასაკობრივი კლასიფიკაციის სისტემა (Classification and Rating Rules, 2010, გვ.7) საკმაოდ მკაცრ კრიტერიუმებს აწესებს ქართულ და ევროპულ ანალოგებთან შედარებით. როგორც მიუთითებენ მკვლევარები, ამერიკული სტანდარტები სიშიშვლის შეზღუდვის შესახებ ბევრად მკაცრია და ევროპაში ღიმილსაც კი იწვევს (Mendel, 2011:30), სიშიშვლე აშშ-ში 13 წლის მოზარდებისთვის შეუფერებელ მასალად მიიჩნევა, ხოლო სექსუალური ხასიათის სიშიშვლე კი მხოლოდ 17 წლიდან დასაშვებ მასალად; სექსუალურ სფეროსთან დაკავშირებული ბილწსიტყვაობის ერთზე მეტი სიტყვის შემცველი ფილმი ასევე 17 წლამდე დაუშვებელ კატეგორიას იღებს. საქართველოში კი სიშიშვლე სექსუალურ კონტექსტში გადაცემაში 15 წლიდან დასაშვებად არის მიჩნეული, ასევე ბილწსიტყვაობა მიიჩნევა 15 წლიდან დასაშვებ მასალად (კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 56-მეორე მუხლი, მეორე პუნქტის ბ) და გ) პუნქტები).

აშშ-ში მხატვრული ფილმის 17 წლამდე ახალგაზრდებისთვის შეუფერებლად ჩათვლა ნიშნავს, რომ მისი რეკლამა ასევე შეზღუდული იქნება დღის საათებში. საქართველოში კი ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის ფილმის რეკლამა ხდება დღის საათებში. აშშ-ში ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიმართოს კომუნიკაციების კომისიას სატელევიზიო მაუწყებლობაში უცენზურო მასალის დემონსტრირებასთან დაკავშირებით, შემდეგ კი სასამართლოს საჩივრით, რაც საქართველოში აკრძალულია.

საქართველოს კონსტიტუციის ტექსტის ანალიზი აჩვენებს, რომ მასში საერთოდ არ არის ნახსენები სიტყვები „საზოგადოებრივი მორალი" და „ზნეობა" ლეგიტიმური მიზნების ჩამონათვალში, განსხვავებით,

თუნდაც ევროპის ქვეყნებისგან. საყურადღებოა, რა ინტერპრეტაციას აძლევენ ქართველი საზოგადოებათმცოდნეები მორალისადმი ასეთ მიდგომას.

ქართველი იურისტების ნაწილმა განსხვავება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და საქართველოს კონსტიტუციას შორის საზოგადოებრივი მორალის უგულებელყოფის მხრივ შეაფასა როგორც გამოხატვის თავისუფლების უფრო მაღალი სამართლებრივი სტანდარტი და ეს საზოგადოების განვითარებისთვის სასარგებლო სიახლედ ჩათვალა. მაგალითად, კ.კორკელია მიუთითებს - „ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ კონსტიტუცია ითვალისწინებს უფრო მაღალ სამართლებრივ სტანდარტებს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების დაცვის მიმართ, ვიდრე ევროპული კონვენცია." (კორკელია, 2004, გვ.263). როგორც ვხედავთ, კორკელია ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის უგულებელყოფას უფრო მაღალ სტანდარტად მიიჩნევს.

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარებში ევა გოცირიძე მიუთითებს, რომ საქართველოს უფლება აქვს, დაადგინოს უფლებათა დაცვის განსხვავებული და უფრო მაღალი სტანდარტი, ვიდრე ამას ევროპული კონვენცია მოითხოვს (გოცირიძე ე, 2013, გვ. 169), „სხვათა უფლებებში" ის გულისხმობს იმ ადამიანთა უფლებები, ვისი უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და მორალის დაცვის ინტერესებიც დაირღვა, ან საფრთხე შეექმნა ვინმეს მხრიდან რელიგიისა თუ რწმენის გაცხადების შედეგად (გოცირიძე ე, 2013).

სამწუხაროდ, როგორც ქვევით ვნახავთ, გოცირიძის ვარაუდს, რომ „სხვათა უფლებებში" საზოგადოებრივ მორალის დაცვაც იგულიხმება, არც ის ქართველი იურისტები მოიაზრებენ, ვისაც მორალის დაცვის სტანდარტის კონსტიტუციაში დაფიქსირება საჭიროდ არ მიაჩნიათ და არც ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია, რომელიც ახდენს ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის საერთაშორისო შეთანხმებებთან შესაბამისობის სამართლებრივ ანალიზს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" ასევე მიიჩნევს, „რომ საქართველოს კონსტიტუცია, განსხვავებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლისგან, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ საფუძვლად არ ითვალისწინებს მორალის დაცვას (გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, 2020, გვ.8). შესაბამისად, ამ თვალსაზრისით საქართველოში გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციური სტანდარტი ახლოსაა გამოხატვის თავისუფლების ამერიკულ მოდელთან და მაღალია ზოგადევროპულ სტანდარტზე (კონსტიტუციური სარჩელი, 2019, გვ.13; სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, 2019, გვ 22). ამდენად, ნებისმიერი ნორმა, რომლის მიზანი იქნება საზოგადოებრივი მორალის დაცვა, აპრიორი არაკონსტიტუციურად უნდა იქნეს მიჩნეული" (სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, 2019, გვ.27). როგორც ვხედავთ, ეს ორგანიზაცია მორალის არდაცვას „ამერიკულ" სტანდარტთან მიახლოვებად და უფრო პროგრესულ მოვლენად მიიჩნევს, მაშინ, როდესაც, როგორც ზევით იქნა ნაჩვენები, ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიის ზნეობრივი სტანდარტები ბევრად უფრო მკაცრია, ვიდრე ევროპასა და საქართველოში.

საზოგადოებრივ მორალთან საქართველოს კანონმდებლობის მიმართება 2006 წელს გარკვეულად დაზუსტდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა აკრძალა ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში მიმართვა, თუ მაუწყებელი უარყოფდა საჩივარს არასრულწლოვანთათვის მავნე ზემოქმედების მქონე სცენების, ბილწსიტყვაობის ან სხვა ზნეობრივი სტანდარტებისათვის შეუფერებელი მასალის დემონსტრირებასთან დაკავშირებით (მაუწყებლობის შესახებ კანონი, 2006, 59 პრიმა მუხლი). ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოსთვის მიმართვა ყველა მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებას წარმოადგენს და პარლამენტის ეს გადაწყვეტილება ადამიანის უფლების ანტიკონსტიტუციურ შეზღუდვას წარმოადგენდა. ფაქტიურად ის განხორციელდა მაუწყებლებისთვის, მედიისთვის მაქსიმალური თავისუფლების მინიჭების მიზნით, რომ საჩივრები არ შესულიყო არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონის დარღვევისთვის.

2009 წელს ეს შეზღუდვა კიდევ უფრო გაფართოვდა მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ზნეობის საკითხების სასამართლოში განხილვის მიზანშეუწონლობაზე, იმ არგუმენტით, რომ საქართველოში ზნეობის ნორმების დადგენა სირთულეს წარმოადგენს და სასამართლოებში მსჯელობა დამაბრკოლებელ გავლენას მოახდენს მაუწყებელთა თავისუფლებაზე, საბოლოოდ კი საზოგადოება დაზიანდებოდა: "ზნეობრიობის საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა უარყოფით ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე იმდენად, რამდენადაც, უმეტეს შემთხვევაში, ძნელია ობიექტურად იმის განსაზღვრა, რა შეესაბამება ზნეობრივ ნორმებს და რა – არა. ასეთი საკითხების სასამართლო წესით განსჯადობა გამყინავ ეფექტს იქონიებს მაუწყებლის თავისუფლებაზე და შედეგად დააზარალებს მთლიანად საზოგადოებას" (გადაწყვეტილება საქმეზე 421, 422, 2009, გვ.17, პარაგრაფი # 20).

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს, ზნეობის სფეროში ახალ სტანდარტს ამკვიდრებს ქართული სამართლის ისტორიაში, რადგან კრძალავს დისკუსიასაც კი ზნეობრიობის თემებზე სასამართლოებში. აქ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება როგორც ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკას., ასევე საქართველოს კონსტიტუციასაც, რადგან ძალაში ტოვებს სასამართლოში მიმართვის უფლების აკრძალვას.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა" თვლის, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, განსხვავებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომისგან: „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებად მიიჩნევს მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს (კონვეციის მე- 10 მუხლის მე-2 პუნქტი)"(სიძულვილის ენა, 2014, გვ.14). როგორც ვხედავთ, საქართველოში საზოგადოებრივი მორალის დაცვა კონსტიტუციური სამართლის დონეზე არ სარგებლობს პრიორიტეტით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა სტრასბურგის ევროპული სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს მორალის საერთო ევროპული კონვენცია და ამიტომ მიიჩნევს, რომ ზნეობის საკითხებზე ევროპის ქვეყნების ეროვნულ სახელისუფლებო ორგანოებს მეტი შესაძლებლობა აქვთ ზნეობის მოთხოვნათა შინაარსის გარკვევისათვის და ეროვნულ ხელისუფლებებს ანდობს მორალის საკითხებზე გადაწყვეტილების პრიორიტეტს. სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით ევროპის საბჭო რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ ხელისუფლებებს უზრუნველყონ როგორც დებატების შესაძლებლობა ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე კონკრეტული ზომები მედიაში მომხმარებელთა ისეთი მოწყლვადი ჯგუფების დასაცავად, როგორსაც წარმოადგენენ მოზარდები (Akdeniz Y, 2009). მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს სასამართლოებში ზნეობის საკითხებზე მსჯელობა უკვე შეზღუდულად ითვლება, ზნეობის ეროვნული სტანდარტის დადგენა უკვე შეუძლებელი ხდება, მითუმეტეს, რომ საქართველოს კონსტიტუციური სასამართლო ზნეობის საკითხებზე მსჯელობასაც კი კრძალავს სამაუწყებლო მედიაში სადავო საკითხების განხილვისას.

საზოგადოებრივი ზნეობის, როგორც ლეგიტიმური მიზნის უგულებელყოფის პოლიტიკა კიდევ ერთხელ დადასტურდა 2017 წელს, როდესაც განიხილებოდა კონსტიტუციის ცვლილებათა პროექტი, ევროკავშირის ვენეციის კომისიამ სამჯერ - 2017 წლის ივნისში, 2017 წლის ოქტომბერში და 2018 წლის მარტში მიმართა საქართველოს პარლამენტს (Georgia Draft opinion, 2017, p.10, Georgia opinion Revised, 2017, p.14, Georgia Opinion on the draft, 2018, p.9), რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციათა ტექსტის შესაბამისად ჩაეწერა კონსტიტუციაში საზოგადოებრივი მორალი, როგორც ლეგიტიმური მიზანი იტალიის და ესპანეთის კონსტიტუციათა მსგავსად, რაც არ იქნა გათვალისწინებული.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი მორალის დაცვის ევროპული სტანდარტების არაღიარება საქართველოს ხელისუფლების წლების განმავლობაში განმტკიცებული და პრინციპული პოზიციაა, რომელიც ნეოლიბერალური იდეოლოგიის გამოვლინებას წარმოადგენს, რადგან მიზნად ისახავს კომერციული მედია-ორგანიზაციების მაქსიმალური თავისუფლების უზრუნველყოფას, სახელმწიფოს ჩარევაზე უარის თქმას, რაც შედეგად გვაძლევს მოსახლეობის კულტურულ-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა და არასრულწლოვანთა ინტერესების იგნორირებას, საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანთა ფსიქიკურ და მორალურ განვითარებას და წესრიგს საზოგადოებაში.

ლიტერატურა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950, https://www.echr.coe.int/Documents/Convention_KAT.pdf,

ბოგიშვილი დ., ოსეფაშვილი ი. გავაშელიშვილი ე., გუგუშვილი ნ., ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2016,

გადაწყვეტილება საქმეზე 421, 422, გვ.17; http://www.constcourt.ge/act_files/421.422.doc

გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, 2020, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, https://gdi.ge/uploads/other/1/1078.pdf

გოცირიძე ე.. „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე, მუხლი 19. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი". პეტიტი, თბილისი 2013.

კონსტიტუციური სარჩელი, 2019, საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. https://www.gdi.ge/uploads/other/1/1060.pdf

კორკელია კ. მჭედლიძე ნ. ნალბანდოვი ნ. , 2005. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანისუფლებათა კონვენციის მუხლებთან. ევროპის საბჭოს ბიურო, საქართველო.

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, 2009 https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792, nanaxia 30.11.2019

საერთაშორისო პაქტი - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1994, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335?publication=0

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება,: -ააიპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა", 2019, https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1935

სიძულვილის ენა, ააიპ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა", 2014. გვ.14, https://www.gdi.ge/uploads/other/0/190.pdf

ყიფიანი გ. ეროვნული ხასიათი და განვითარება, თბილისი, 2002, 202გვ.

Akdeniz Y, Introduction, in Legal Instruments for Combating Racism on the Internet, Council of Europe Publishing, Human Rights and De mocracy Series, 2009, pp 7-37, ნანახია 2012 წლის 30 ოქტომბერს.

Appel H. 2018, From Triumph to Crisis: Neoliberal Economic Reform in Postcommunist Countries, Cambridge.University Press.

Armenia's Constitution, 1995, https://www.constituteproject.org/constitution/Armenia_2015.pdf?lang=en

Aucoin, L. (2010). Introduction. In Miller, L. E. (Ed.), Framing the State in Times of Transition: Case Studies in Constitution Making (pp. xii-xvii). Washington, D.C.: United States Institute of Peace Press.

Azerbaijan's Constitution, 1995, https://www.constituteproject.org/constitution/Azerbaijan_2016?lang=en

Berekashvili B. The End of Neoliberal Hegemony 2013, https://dfwatch.net/the-end-of-neoliberal-hegemony-20486-17781

Better Legislation Action Plan, 2001, Mandelkern Group on Better Regulation, Final Report, (November 13, 2001) http://europa.eu.int/comm/secretariat_general/impact/docs/mandelkern.pdf,

Breslin, B. (2009). From Words to Worlds: Exploring Constitutional Functionality. Baltimore: Johns Hopkins University Press.

Broadcast Decency Act of 2005, Pub. L. No. 109-235, 120 Stat. 491 (amending 47U.S.C. § 503(b)(2)). nanaxia 30.11.2019, https://www.congress.gov/109/crpt/hrpt5/CRPT-109hrpt5.pdf nanaxia 30.11.2019

Classification and Rating Rules 2010 Motion Picture Association of America, Inc. California https://www.filmratings.com/content/downloads/rating_rules.pdf nanaxia 30.11.2019

Gabitsinashvili M.| 06.12.2019 Georgia's neoliberal agony, https://www.ips-journal.eu/regions/europe/article/show/georgias-neoliberal-agony-3924/

Georgia opinion Revised Constitution, 19 June 2017. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)005-e nanaxia 30.11.2019

Georgia Draft opinion on the Draft revised Constitution 22 September 2017 nanaxia 30.11.2019https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2017)006-e nanaxia 30.11.2019

Georgia Opinion on the draft constitutional amendments, 16 March 2018 https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)005-e nanaxia 30.11.2019

Heller, B. van Hoboken, J. 2019, Freedom of Expression: A Comparative Summary of United States and European Law, Working paper of the Transatlantic High Level Working Group on Content Moderation Online and Freedom of Expression , https://www.ivir.nl/publicaties/download/TWG_Freedom_of_Expression.pdf

Holohan Matthew C. Politics, Technology, & Indecency: Rethinking Broadcast Regulation in the 21st Century, Berkeley Technology Law Journal , V20, iss 1 . 2005, https://scholarship.law.berkeley.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1526&context=btlj

Italy Constitution 2012, https://www.constituteproject.org/constitution/Italy_2012.pdf?lang=en

Kaplan S. 2018, Human Rights in Thick and Thin Societies: Universality Without Uniformity. Cambridge. University press.

Leon-Guerrero A. Social Problems: Community, Policy, and Social Action, 2015, Sage.

Leonardis F. 2016, Memory and Nation Building in Georgia, in ed. Isaacs .R.Nation-Building and Identity in the Post-Soviet Space: New Tools and Approaches, 24-45.

Lodge G, Vogel E. Ideology and National Competitiveness: An Analysis of Nine Countries [George C. Harvard Business School Press, 1987.

Matosyan T. Collectivism/individualism in the South Caucasus: implications for democracy edited by Alexander Agadjanian Religion, Nation and Democracy in the South Caucasus 201-219 2015

Mendel, Toby; Salomon, Eve, The Regulatory Environment for Broadcasting: An International Best Practice Survey for Brazilian stakeholder. Unesco, 2011 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000191622 nanaxia 30.11.2019

Markus, Hazel Rose, and Shinobu Kitayama. "Culture and the Self: Implications for Cognition, Emotion, and Motivation." Psychological Review 98, no. 2 (1991): 224-253.

Pew Research Center , 2017, Religious Belief and National Belonging in Central and Eastern Europe https://www.pewforum.org/2017/05/10/religious-belief-and-national-belonging-in-central-and-eastern-europe/

Poland Constitution 2009, https://www.constituteproject.org/constitution/Poland_2009.pdf?lang=en

Proposed Georgian defamation law 'puts freedom of speech at risk, 2019, https://oc-media.org/tag/slander/

Shweder R., Much M., Mahapatra M., and Lawrence Park, "The 'Big Three' of Morality (Autonomy, Community, and Divinity) and the 'Big Three' Explanations of Suffering," in Allan Brandt and Paul Rozin (eds.), Morality and Health (New York: Routledge, 1997), 141.

Schwartz Sh. 1997 Bardi A,, Influences of Adaptation to Communist Rule on Value Priorities in Eastern Europe June 1997Political Psychology 18(2):385 – 410

Tausch A. 2015, Hofstede, Inglehart and beyond. New directions in empirical global value research https://mpra.ub.uni-muenchen.de/64282/1/MPRA_paper_64282.pdf

White Paper on European Governance, 2001. http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2001/com2001_0428en01.pdf